13/08/2026

MES 4 26 0001047360

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 30.07.2026
სხდომის დაწყების დრო: 10:56 სთ
სხდომის დასრულების დრო: 13:28 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე - II, III, IV, V და VI საკითხები
სხდომის თავმჯდომარე: ნინო ხოლუაშვილი - I საკითხი
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი - II, III, IV, V და VI საკითხები
სხდომის მდივანი: ქეთევან აფთარაშვილი - I საკითხი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ლევან შავაძე – სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარე;
ნინო ხოლუაშვილი – შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა კელიხაშვილი – ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი – საბჭოს მდივანი;
ქეთევან აფთარაშვილი – შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

პეტრე ბაბილუა – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
მარიამ ხოფერია – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
მარინე რუხაძე – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ვალერიან გობრონიძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო და საგამოცდო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
შალვა კელეპტრიშვილი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლია სანოძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი;
ხათუნა ლომაური – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ნეონატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ინგა დიასამიძე – სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ავთანდილ თავხელიძე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კვლევითი და ტექნოლოგიური ცენტრის „ნანოსტრუქტურები განახლებადი ენერგეტიკისათვის“ (ლაბორატორია) დირექტორი;
მაია ბარბაქაძე – სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი;
ფრიდონ გოგიაშვილი – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
თინათინ გოგნაძე – შპს ევროპის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
თამარ მერაბიშვილი – შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს პროფესორი;
თეა ნარეკლიშვილი – შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
ლევან ციცქიშვილი – სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
გიორგი წანაწყენიშვილი – შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ეკატერინე ჭალაგანიძე – შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
თამარ ხურცილავა – შპს აიქიუ კლინიკის გენერალური მენეჯერი, შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ასოცირებული პროფესორი;
დავით ჯინჭარაძე – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

თამთა მოხევიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რომეო გალდავა - ვიცე - რექტორი;
დევი შონია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაია კუპრავიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ
მარიამ დარბაიძე - ვიცე-რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით;
მაგდა სიგუა - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შალვა ჭკადუა - რექტორი;
სალომე თათულიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

აკრედიტაციის ექსპერტები:
I საკითხი
ა) მაია ჩქოტუა (თავმჯდომარე);
ბ) ნანი არაბული (წევრი);
გ) ნინო ჯოჯუა (წევრი);
დ) თამარ რაზმაძე (წევრი).

II საკითხი
ა) აპოსტოლოს იანისი - Apostolos Giannis (თავმჯდომარე);
ბ) მამუკა ბენაშვილი (წევრი, დარგის ექსპერტი);
გ) აკაკი ჩალათაშვილი (წევრი, დამსაქმებელი);
დ) ია ნაცვლიშვილი (წევრი, უმაღლესი განათლების ექსპერტი);
ე) გულნაზი მაღრაძე (წევრი, სტუდენტი).

III საკითხი
ა) თამარ სანიკიძე (წევრი, დარგის ექსპერტი);
ბ) ეკატერინე კახნიაშვილი (წევრი, დარგის ექსპერტი);
გ) ია ნაცვლიშვილი (წევრი, უმაღლესი განათლების ექსპერტი);
დ) გიორგი მხეიძე (წევრი, სტუდენტი).

IV საკითხი
ა) გასპარ ფრანცისკო როს ბერუზო (Gaspar Francisco Ros Berruezo) (თავმჯდომარე);
ბ) გიორგი მელაშვილი (წევრი);
გ) ქრისტინე ჩიხლაძე (წევრი);
დ) გულნაზი მაღრაძე (წევრი).

V საკითხი
ა) გასპარ ფრანცისკო როს ბერუზო (Gaspar Francisco Ros Berruezo) (თავმჯდომარე);
ბ) გიორგი ჯაფოშვილი (წევრი, დარგის ექსპერტი);
გ) თამარ სანიკიძე (წევრი, დარგის ექსპერტი);

დ) ნინო დონდოლაძე (წევრი, დარგის ექსპერტი);
ე) ქრისტინე ჩიხლაძე (წევრი, უმაღლესი განათლების ექსპერტი);
ვ) გიორგი ფაღავა (წევრი, სტუდენტი).

VI საკითხი
ა) პოუიან ამინაშაკიბი (Pouyan Aminishakib) (თავმჯდომარე);
ბ) ელენე გიგინეიშვილი (წევრი);
გ) ზურაბ ალხანიშვილი (წევრი);
დ) ია ნაცვლიშვილი (წევრი);
ე) ციცი პაპუნაშვილი (წევრი).

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას I საკითხთან დაკავშირებით უხელმძღვანელა ნინო ხოლუაშვილმა, ხოლო სხდომის მდივნად განისაზღვრა ქეთევან აფთარაშვილი, ხოლო II, III, IV, V და VI საკითხებთან დაკავშირებით, სხდომას უხელმძღვანელა ლევან შავაძემ, სხდომის მდივნის ფუნქცია შეასრულა ვაჟა კელიხაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის" საბაკალავრო, „გარემოსდაცვითი ინჟინერიის" საბაკალავრო, ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის" საბაკალავრო და „გარემოსდაცვითი ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო, „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის" საბაკალავრო, „სასურსათო ტექნოლოგიის" სამაგისტრო და „სურსათის უვნებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოეკოლოგია - მწვანე აგროგარემოს" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგრარული ტექნოლოგიების", „აგრონომიის" და "მეცხოველეობის" საბაკალავრო, „აგრარული ტექნოლოგიების", "მეცხოველეობის", "სამკურნალო მცენარეები და მათი წარმოების" „აგრობიზნესის მენეჯმენტის" და "სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის „ჯიუს“ სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
• კი

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო ცენტრის შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც, დაწესებულების მომართვის საფუძველზე, პირველ საკითხად შესაძლებელია განხილულიყო სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ აკრედიტაციის საკითხი. ამასთან, მესამე საკითხი ამოღებულ იქნა დღის წესრიგიდან, რადგან დაწესებულებამ შეწყვიტა „გეოეკოლოგია - მწვანე აგროგარემოს" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო წარმოება.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის" საბაკალავრო, „გარემოსდაცვითი ინჟინერიის" საბაკალავრო, ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის" საბაკალავრო და „გარემოსდაცვითი ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო, „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის" საბაკალავრო, „სასურსათო ტექნოლოგიის" სამაგისტრო და „სურსათის უვნებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგრარული ტექნოლოგიების", „აგრონომიის" და "მეცხოველეობის" საბაკალავრო, „აგრარული ტექნოლოგიების", "მეცხოველეობის", "სამკურნალო მცენარეები და მათი წარმოების" „აგრობიზნესის მენეჯმენტის" და "სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის „ჯიუს“ სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა:

საგანმანათლებლო პროგრამა: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების საფეხური: ხორციელდება უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურის ფარგლებში
სწავლების ენა: ქართული
კრედიტები: 60
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აღნიშნული პროგრამა არ ანიჭებს კვალიფიკაციას, გაიცემა სერტიფიკატი
სტატუსი: ახალი
მოდული: კომპიუტერული ტექნოლოგიები

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ლევან შავაძემ, თვითაცილების მიზეზს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ირველი საკითხის განხილვას უხელმძღვანელა ნინო ხოლუაშვილმა, ხოლო მდივნის მოვალეობა შეასრულა ქეთევან აფთარაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაია ჩქოტუამ აღნიშნა, რომ განსახილველი საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს. ის მთლიანობაში შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს. პირველ სტანდარტთან მიმართებაში პროგრამის მიზნები, შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა საერთო შეფასებით მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება მოთხოვნებს. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, პროგრამის შინაარსი და ცალკეული კურსები მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარის მოთხოვნებთან. სწორედ აღნიშნულ კომპონენტს უკავშირდება რეკომენდაციების დიდი ნაწილი. მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მესამე სტანდარტიც სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს ისევე, როგორც მეოთხე სტანდარტი. მეხუთე სტანდარტიც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, მხოლოდ შიდა ხარისხის შეფასება განისაზღვრა მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. რაც შეეხება რეკომენდაციებს, პირველ სტანდარტში გაიცა 3 რეკომენდაცია. პირველი არის სწავლის შედეგების ერთიანი სქემის შემუშავება, სადაც გაზომვის ინსტრუმენტები იქნება მითითებული. ინსტიტუციას შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, უბრალოდ, მეტი კონკრეტიკაა საჭირო ამ კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებით. შემდეგი რეკომენდაცია ეხება პედაგოგიური მოდულის კურსების წინაპირობების გადახედვას და მის ასახვას სასწავლო გეგმაში. ასევე, რეკომენდებულია მეთოდიკის მოდულის სასწავლო კურსებში გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების დაფარვა და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის შედეგების რუკის კორექტირებით ან სილაბუსებში შეფასების ინსტრუმენტების დამატება/გაძლიერებით უზრუნველყოფილი იყოს თითოეული სწავლის შედეგის მკაფიო და გაზომვადი ასახვა. მეორე

სტანდარტში არის 1 რეკომენდაცია, რომელიც ეხება გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მარეგულირებელი წესის შემუშავებას და დანერგვას. აკრედიტაციის მოქმედი სტანდარტები პირდაპირ მოითხოვს ხელოვნური ინტელექტის მარეგულირებელი პოლიტიკის გამოყენებას, მაგრამ მისი მზარდი გამოყენება ზრდის აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატთან დაკავშირებულ რისკებს. განსაკუთრებით ისეთ პროგრამებში, სადაც ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ფართოდ არის გავრცელებული. მეხუთე სტანდარტშიც გაიცა მხოლოდ 1 რეკომენდაცია, რომელიც შიდა შეფასების პროცედურებისა და ფორმების დახვეწას ეხება. გაიცა რჩევებიც, რომლებიც 4 ძირითად საკითხს ეხება, ესაა სასწავლო რესურსების დახვეწა, აკადემიური გამჭვირვალობისთვის რიდერების მომზადება, ბიბლიოგრაფიის განახლება. შეფასების სისტემის მინისტრის მესამე ბრძანების მოქმედ რედაქციასთან შესაბამისობა, არის ტექნიკური უზუსტობა. ასევე ერთერთი რჩევა ეხება სტუდენტთა ჩართულობის გაძლიერება და გრძელვადიან პერსპექტივაში შიდა აფილირებული კადრისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს კითხვები არ ჰქონდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:07
დასრულების დრო: 11:10

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით 2032 წლის 01 სექტემბრამდე, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2032 წლის 01 სექტემბრამდე, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული ყველა რეკომენდაცია, შესაბამისად დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა აღნიშნული რეკომენდაციები.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს მდივანი, ვაჟა კელიხაშვილი.

მეორე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის" საბაკალავრო, „გარემოსდაცვითი ინჟინერიის" საბაკალავრო, „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის" საბაკალავრო და „გარემოსდაცვითი ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამა: აგროინჟინერია
სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტები: 241
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული 0719
სტატუსი: ახალი

2. საგანმანათლებლო პროგრამა: გარემოსდაცვითი ინჟინერია
სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტები: 185
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: გარემოს ინჟინერიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: გარემოს დაცვის ტექნოლოგია 0712
სტატუსი: ახალი

3. საგანმანათლებლო პროგრამა: ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია
სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტები: 241
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული 0719
სტატუსი: ახალი

4. საგანმანათლებლო პროგრამა: გარემოსდაცვითი ინჟინერია
სწავლების საფეხური: მაგისტრატურა
სწავლების ენა: ქართული
კრედიტები: 60+60
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პირველი ნაწილი - გარემოს ინჟინერიის მაგისტრი, **მეორე ნაწილი** - კვლევის მაგისტრი გარემოს ინჟინერიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: გარემოს დაცვის ტექნოლოგია 0712
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე საკითხის განხილვას უხელმძღვანელა ლევან შავაძემ, ხოლო სხდომის მდივნის ფუნქცია შეასრულა ვაჟა კელიხაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტმა აპოსტოლოს იანისმა (Apostolos Giannis) აღნიშნა, რომ აკრედიტაცია ეხებოდა 3 საბაკალავრო და 1 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას. გაიცა რიგი რეკომენდაციები, იყო გარკვეული მოსაზრებები საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ეს ეხებოდა საინჟინრო საკითხებს, იყო დასამატებელო კურსები. სამაგისტრო პროგრამა იყო ზოგადი, საერთაშორისო პროგრამები მოითხოვს უფრო მეტ კონკრეტიკას და ხაზგასმას, თუმცა ექსპერტები პროგრამის მიმართ დადებითად არიან განწყობილნი. საქართველოს ბაზრისთვის მნიშვნელოვანი პროგრამაა და ექპერტთა სურვილია, რომ გაგრძელდეს აღნიშნული პროგრამა, ამიტომ გაიცა რეკომენდაციები. პოზიტიურად ხაზგასასმელია ლაბორატორიის არსებობა, რომელიც ხელს შეუწყობს იმ სტუდენტებს, რომლებსაც სურთ ლაბორატორიაში მუშაობა. ზოგადი მიგნება არის ის, რომ უნდა გაუმჯობესდეს გარკვეული ასპექტები, განსაკუთრებით საინჟინრო მიმართულება.
ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტები ითვალისწინებდნენ იმ რეორგანიზაციას, რაც მოხდა დაწესებულებაში, თუმცა გამოიკვეთა რიგი საკითხი, რომელზეც ექსპერტებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს. გამომდინარე იქიდან, რომ ეს საკითხები დაკავშირებული იყო სწავლის შედეგებთან, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან, სილაბუსებთან და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების მოსაზრება:

"რეკომენდაციები კლასტერული
ყველა პროგრამის საინჟინრო ორიენტაციისა და იდენტობის გაძლიერება, რომ მასში ინტეგრირებული იყოს მოწინავე საინჟინრო მიდგომები, მათ შორის მოდელირება და სიმულაცია, ავტომატიზაცია, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები და ა.შ. (1.1) ვეთანხმებით. რეკომენდებულია ყველა სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგების ყოვლისმომცველი გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანამედროვე საზოგადოების

საჭიროებებთან, საერთაშორისო საინჟინრო განათლების სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებთან შესაბამისობა. (1.2) ვეთანხმებით. უნდა შეიქმნას სტრუქტურირებული შეფასების სისტემა, თითოეული სასწავლო პროგრამისთვის ცალკე შეფასებისა და ანგარიშგების მექანიზმებით, მკაფიო შესრულების ინდიკატორებით, დაინტერესებული მხარეების რეგულარული ჩართულობით და დოკუმენტირებული მტკიცებულებებით, რომლებიც აჩვენებს, თუ როგორ არის ჩართული უკუკავშირი სასწავლო გეგმის შემუშავებასა და პროგრამის გაუმჯობესებაში. (1.3) ვეთანხმებით. მოხდეს კურსის შინაარსისა და ECTS-ის განაწილების სისტემატური გადახედვის ჩატარება, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა თანამედროვე საინჟინრო სასწავლო გეგმებთან და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებთან. გაძლიერდეს ისეთი თემების ინტეგრაცია, როგორიცაა სისტემების დიზაინი, მოდელირება, მონაცემთა ანალიტიკა და ინოვაცია და უზრუნველყოფილი იყოს, რომ ECTS კრედიტები ზუსტად ასახავდეს სტუდენტის დატვირთვას, კურსის სირთულეს და დაგეგმილ სწავლის შედეგებს. (1.5) ვეთანხმებით. მოხდეს სტუდენტების აქტიური ჩართულობის გაძლიერება სამეცნიერო კონფერენციებში, კვლევით პროექტებსა და სხვა აქტივობებში, მათი აკადემიური ჩართულობის, კვლევითი კომპეტენციებისა და პროფესიული განვითარების გასაძლიერებლად. (2.2) ვეთანხმებით. მოხდეს სტუდენტების კონსულტაციისა და დახმარების სერვისების გაძლიერება ლაბორატორიული ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის განახლებით, პრაქტიკული და ლაბორატორიულ პირობებში სწავლის შესაძლებლობების გაზრდით და საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობით, ცნობიერების ამაღლების აქტივობებისა და უცხო ენების კომპეტენციების განვითარების მიზნობრივი მხარდაჭერის გზით. (3.1) ვეთანხმებით ნაწილობრივ თუმცა, მოქმედი ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა საუკეთესოა როგორც ქვეყნის, ასევე ამიერკავკასიის მაშტაბით. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც სტუდენტების საერთაშორისო მობილობით ერთ-ერთი მოწინავე უნივერსიტეტი, კლასტერის პროგრამების სტუდენტების საერთაშორისო მობილობას მნიშვნელოვნად განავითარებს. ასევე, უნივერსიტეტში მოქმედი ენების ცენტრი უფასოდ ემსახურება როგორც სტუდენტებს, ასევე აკადემიურ პერსონალს უცხო ენების კომპეტენციების განვითარებაში. სასწავლო პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობისა და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერება და მასწავლებლების რაოდენობის გაზრდა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სწავლების პასუხისმგებლობების უფრო დაბალანსებული განაწილება და სწავლების ზედმეტი სამუშაო დატვირთვის შემცირება. უნივერსიტეტმა ასევე უნდა უზრუნველყოს ახალი (ახალგაზრდა) პროფესორებისა და ადრეული კარიერის მქონე აკადემიური პერსონალის მოზიდვა, რათა მხარი დაუჭიროს სწავლების საქმიანობას და გააძლიეროს პროგრამების გრძელვადიანი განვითარება და უწყვეტობა. (4.1) ვეთანხმებით. უზრუნველოფილ იქნას პერსონალის შეფასებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები. სისტემატურად იქნას ასახული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ყოველწლიურ პროფესიული განვითარების გეგმაში, რომელიც მკაფიოდ ასახავს იდენტიფიცირებულ საჭიროებებს, დაგეგმილ აქტივობებს, პერსონალის მონაწილეობას, გამოყოფილ რესურსებს, განხორციელების შედეგებს და შემდგომ ქმედებებს. ეს აუცილებელია, რადგან სტანდარტი მოითხოვს, რომ პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები აქტიურად იქნას გამოყენებული პროფესიული გაუმჯობესებისა და პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმებისთვის. (4.3) ვეთანხმებით ნაწილობრივ. წარმოდგენილი კლასტერის პროგრამებში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი ყოველწლიურად ჩართულია დაგეგმილ სამეცნიერო აქტივობებში, რაც სავრაუდოდ, ტექნიკური მიზეზების გამო არ აისახა სააკრედიტაციო განაცხადში. (იხილეთ დანართი 2). რეკომენდებულია, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, პროგრამებში მითითებული ლაბორატორიები და ლექტორების სამუშაო სივრცეები ერთ ადგილას იყოს განთავსებული. (4.4) ვეთანხმებით. შეიმუშავდეს დეტალური და თემატური მიზნობრივი ბიუჯეტი კლასტერში წარმოდგენილი

თითოეული პროგრამისთვის. (4.5) ვეთანხმებით.
რეკომენდებულია, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაასრულოს პროგრამასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაციის ადაპტაცია და ფორმალური დამტკიცება ინსტიტუციურ ჩარჩოებში და გააძლიეროს თვითშეფასების პროცესი, რათა უზრუნველყოს პროგრამის შინაარსთან, სასწავლო რესურსებთან, პერსონალთან, ინფრასტრუქტურასთან და განხორციელების მექანიზმებთან დაკავშირებული ხარვეზების სისტემატური იდენტიფიცირება, ანალიზი და აღმოფხვრა (5.1). ვეთანხმებით.
რეკომენდებულია, რომ წარმოდგენილი იქნას უფრო მკაფიო მტკიცებულებები, რომლებიც აჩვენებს, თუ როგორ უწყობს ხელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან დამკვიდრებული თანამშრომლობის მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურ და მდგრად გადაცემას და განხორციელებას (5.1). ვეთანხმებით ნაწილობრივ. გაფორმდა ოფიციალური ხელშეკრულება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან რაც სავრაუდოდ, ტექნიკური მიზეზების გამო არ აისახა სააკრედიტაციო განაცხადში. (იხილეთ დანართი 3.)
რეკომენდებულია, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განაახლოს პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (უნივერსიტეტის სახელითა და ოფიციალური ფორმატით). (5.1). ვეთანხმებით.
რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სისტემატური გარე კოლეგიური განვითარების შეფასებები (ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მიერ). (5.2). ვეთანხმებით.
რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესი (წარმოდგენილი კლასტერში არსებული მონიტორინგის მექანიზმების სრული სპექტრის გამოყენებით). (5.3) ვეთანხმებით. პროგრამა 1 (აგროინჟიერიის საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე).
განვითარდეს აგროინჟინრებისთვის საჭირო ანალიტიკური, დიზაინისა და ინოვაციური შესაძლებლობები (1.1) ვეთანხმებით ნაწილობრივ. პროგრამა ანვითარებს აგროინჟინრებისთვის საჭირო ანალიტიკურ, დიზაინის და ინოვაციურ შესაძლებლობებს უახლესი თეორიული და პრაქტიკული კურსებით, ლაბორატორიულ მეცადინეობებზე პრაქტიკული სიმულაციებით და საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე ინოვაციური ტექნოლოგიებით.
სოფლის მეურნეობის რეალური გამოწვევები გადაწყდეს საინჟინრო პრინციპების გამოყენებით (1.1) ვეთანხმებით ნაწილობრივ. პროგრამის სასწავლო აქტივობები მჭიდრო კავშირშია სოფლის მეურნეობის რეალურ გამოწვევებტან (ნიადაგის ეროზია, წყლის რესურსების დეფიციტი, ენერგოეფექტურობა). საინჟინრო პრინციპების გამოყენებით, სტუდენტები ინდივიდუალურად და ჯგუფურად მუშაობენ ისეთი საირიგაციო და მექანიზაციის სისტემების დიზაინზე, რომლებიც ადაპტირებულია საქართველოს რეგიონების კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებთან.
სწავლის შედეგები უნდა გადაიხედოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კურსდამთავრებულებმა შეიძინონ ცოდნა, კომპეტენციები და პრაქტიკული უნარები აგროინჟინერიის ახალ და ინტერდისციპლინურ სფეროებში, მათ შორის ნიადაგის ინჟინერიაში, მცენარეთა მეცნიერებებში, კვების ინჟინერიაში, აგრონომიულ პრაქტიკაში, ციფრულ ტექნოლოგიებში, ,,ჭკვიან“ სოფლის მეურნეობაში და მდგრადობის პრინციპებში. (1.2) ვეთანხმებით.
განხორციელდეს სასწავლო გეგმის მოდერნიზება საერთაშორისოდ აღიარებულ „აგროინჟინერიის“ პროგრამებთან შედარების გზით, მისი სამეცნიერო და საინჟინრო საფუძვლების გაძლიერებით და ისეთი სფეროების ჩართვით, როგორიცაა ნიადაგისა და წყლის ინჟინერია, ,,ჭკვიანი“ სოფლის მეურნეობა, ციფრული ტექნოლოგიები, ავტომატიზაცია, მდგრადობა და საინჟინრო დიზაინი, რათა უკეთ შეესაბამებოდეს შრომის ბაზრის საჭიროებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს. გარდა ამისა, გადახედეთ სასწავლო გეგმის სტრუქტურას და ECTS-ის განაწილებას, რათა უზრუნველყოთ სემესტრში თანმიმდევრული 30 ECTS სამუშაო დატვირთვა და შექმნათ კვლევაზე დაფუძნებული საბოლოო დისერტაციის პროექტი, რომელიც შეიმუშავებს ანალიტიკურ, ექსპერიმენტულ და საინჟინრო დიზაინის

კომპეტენციებს. (1.4) ვეთანხმებით. განაახლეთ სასწავლო მასალები და რეკომენდებული ლიტერატურა, რათა გაითვალისწინოთ საინჟინრო მიდგომები, თანამედროვე ტექნოლოგიები, საერთაშორისო ცნობები და აგროინჟინერიასთან დაკავშირებული უახლესი სამეცნიერო მიღწევები. (1.5) ნაწილობრივ ვეთანხმებით. პროგრამის სასწავლო მასალების განახლების უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს პროგრამის აკადემიური პერსონალის აქტიური სამეცნიერო-მეთოდური მოღვაწეობა, საერთაშორისო პუბლიკაციები, საერთაშორისო პროექტები. აუცილებელია პერსონალის განვითარების წლიური გეგმა მოიცავდეს პროგრამის სპეციფიკურ საჭიროებებს, რომლებიც დაკავშირებულია აგროინჟინერიასთან, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასთან, მელიორაციულ სისტემებთან, პრაქტიკულ/საველე ტრენინგებთან და პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლის შედეგების შეფასებასთან. (4.3) ნაწილობრივ ვეთანხმებით. პროგრამის პერსონალის განვითარების წლიური გეგმა მუშავდება პროგრამის სპეციფიკურ საჭიროებებიდან გამომდინარე. პროგრამა 2 (გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე). კომპეტენციების გაუმჯობესება გარემოსდაცვითი სისტემების დიზაინში, ექსპლუატაციასა და ოპტიმიზაციაში (1.1)

ვეთანხმებით. სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა გაფართოვდეს და მოიცავდეს გარემოსდაცვით კატალიზს, მდგრადობის შეფასებას და მოდელირებას, ცირკულარულ ეკონომიკას, კლიმატის ცვლილებას, გარემოსდაცვით ბიოტექნოლოგიას, მდგრად შენობებს და ენერგეტიკულ სისტემებს. (1.2) ვეთანხმებით ნაწილობრივ. სასწავლო პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია სამრეწველო აეროზოლებისა და საწარმოო ჩამდინარე წყლების დამაბინძურებელი კომპონენტების განსაზღვრაზე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და მათი გაუნებელყოფის ღონისძიებების შემუშავებაზე, რაც მნიშვნელოვან კავშირშია კლიმატის ცვლილებასთან, ცირკულარულ ეკონომიკასთან, ბიოტექნოლოგიებთან ენერგოეფექტურობასთან. თუმცა პროგრამის შედეგების გაფართოვება მიზანშეწონილად მიგვაჩნია. გადაიხედოს ასასწავლო გეგმის და საერთაშორისოდ აღიარებულ გარემოსდაცვითი ინჟინერიის პროგრამებთან შედარების ჩატარება ხარისხის საინჟინრო იდენტობის გასაძლიერებლად. გარდა ამისა, გადახედეთ სასწავლო გეგმის სტრუქტურას და ECTS-ის განაწილებას, რათა უზრუნველყოთ სემესტრში თანმიმდევრული 30 ECTS სამუშაო დატვირთვა და შექმნათ კვლევაზე დაფუძნებული საბოლოო დისერტაციის პროექტი, რომელიც შეიმუშავებს ანალიტიკურ, ექსპერიმენტულ და საინჟინრო დიზაინის კომპეტენციებს. (1.4) ვეთანხმებით. გადახედოს ECTS კრედიტების განაწილება, რათა უზრუნველყოთ სტუდენტის რეალურ დატვირთვასთან, კურსის სირთულესთან, სირთულის დონესთან და მოსალოდნელ სასწავლო შედეგებთან შესაბამისობა. დარწმუნდით, რომ თითოეული სემესტრი შეესაბამება 30 ECTS კრედიტს და შეიტანეთ საჭირო კორექტირება უფრო დაბალანსებული, თანმიმდევრული და ინჟინერიაზე ორიენტირებული სასწავლო გეგმის სტრუქტურის მისაღწევად. (1.5) ვ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი თ .

უზრუნველყოფილ იქნას რომ პერსონალის განვითარების დაგეგმვა ცალსახად მოიცავდეს გარემოს მონიტორინგს, დაბინძურების კონტროლის ტექნოლოგიებს, ლაბორატორიულ/პრაქტიკულ სწავლების მეთოდებს, გარემოსდაცვით მიმდინარე რეგულაციებს და პრაქტიკაზე ორიენტირებული კომპეტენციების შეფასებას. (4.3) ნაწილობრივ ვეთანხმებით. პროგრამის პერსონალი პერიოდულად გადის ტრენინგებს აღნიშნული მიმართულებებით როგორც ადგილობრივ თანამედროვე საწარმოებში, ასევე საზღვარგარეთ. პროგრამა 3 (ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე). ხაზი გაესვას ნიადაგისა და წყლის კავშირს ინჟინერიის თვალსაზრისით (1.1). ვ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი თ .

ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნიადაგის მეცნიერებასთან, წყლის რესურსების მართვასთან, ჰიდროლოგიასთან, ირიგაციის/დრენაჟის სისტემებთან, ლაბორატორიულ მეთოდებთან და სამრეწველო/პრაქტიკულ ტრენინგებთან დაკავშირებული

პერსონალის განვითარების აქტივობების სისტემატური დოკუმენტაცია. (4.3) ვეთანხმებით. პროგრამა 4 (გარემოსდაცვითი ინჟინერიის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა) მოხდეს სასწავლო პროგრამის ოპტიმიზაცია გარემოსდაცვითი ინჟინერიის სფეროში მკაფიო სპეციალიზაციით (1.1) ვეთანხმებით. სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა იყოს სტრუქტურირებული მკაფიოდ განსაზღვრული თემატური სფეროების გარშემო, რომლებიც შეესაბამება საზოგადოებისა და გარემოსდაცვითი ახალი გამოწვევების საკითხებს, მათ შორის კლიმატის ცვლილებას, მდგრადობასა და სასიცოცხლო ციკლის ანალიზს, გარემოსდაცვით შეფასებასა და მოდელირებას, ასევე ცირკულარულ და დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე გადასვლას. (1.2) ვეთანხმებით. მაგისტრატურის პროგრამის გადახედვა მკაფიო აკადემიური სპეციალიზაციის და სტრატეგიული ფოკუსის ჩამოყალიბების მიზნით, რომელიც შეესაბამება გლობალური გარემოსდაცვითი ახალი გამოწვევებისა და შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობას. სამაგისტრო დისერტაცია უნდა შემუშავდეს, როგორც მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი კვლევითი პროექტი, რომელიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული პროგრამის სპეციალიზაციის სფეროებთან. (1.4) ვეთანხმებით ნაწილობრივ. სასწავლო პროგრამის აკადემიური სპეციალიზაცია ორიენტირებულია ნარჩენების მართვაზე და გარემოსდაცვით მენეჯმენტზე, თუმცა მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეტი შესაბამისობის მიღწევა გარემოსდაცვის მიმართულებით არსებულ ახალ გამოწვევებზე და შრომის ბაზრის საჭიროებებზე. სასწავლო გეგმის სპეციალიზაცია სტრატეგიული თემატური სფეროების გარშემო, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, შერბილება და ადაპტაცია, მდგრადობის შეფასება, ცირკულარული ეკონომიკა და დაბალნახშირბადიან საზოგადოებაზე გადასვლა. (1.5) ვეთანხმებით. სტუდენტებისათვის მკაფიო, დეტალური და ინდივიდუალური გამოხმაურებების მიწოდება, რომლებიც აჩვენებს მათ პროგრესსა და მიღწევებს, ასევე კონსტრუქციული ხელმძღვანელობის შეთავაზება მათი შემდგომი აკადემიური და კვლევითი განვითარებისთვის. (3.2) ვეთანხმებით ნაწილობრივ. პროგრამის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ დარგის სპეციალისტები, ექსპერტები და დამსაქმებლები, რომლებმაც გამოხატეს მზაობა უწყვეტ თანამშრომლობაზე. დააზუსტეთ, რომ უნივერსიტეტს ჰყავს განსაზღვრული და დანიშნული პერსონალი მაგისტრანტების ზედამხედველობისთვის მათი ნაშრომების მომზადების დროს. (4.2) ვეთანხმებით ნაწილობრივ. ნაშრომების მომზადების დროს, მაგისტრანტებს ზედამხედველობას უწევენ პროგრამის განმახორციელებელი, შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი. აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას, რომ ხელმძღვანელები და კვლევის კომპონენტში ჩართული პერსონალი იღებდეს მიზნობრივ პროფესიული განვითარებას კვლევის ზედამხედველობის, კვლევის მეთოდოლოგიის, პუბლიკაციის ეთიკის, აკადემიური ნაშრომის, საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობისა და თანამედროვე გარემოსდაცვითი საინჟინრო ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სტანდარტი ითვალისწინებს მხარდაჭერას (4.3) ვეთანხმებით.".

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ფრიდონ გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ პრაქტიკულად ახალი ფაკულტეტი იქნება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრარული მიმართულებით შექმნილი და მას აინტერესებს როგორ მოხდება ლაბორატორიებისა და სასწავლო სივრცეების ფორმირება, რომლებიც ინჟინერიასთან არის დაკავშირებული.

ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ვიზიტისას განმარტა, რომ გაფორმებულია მემორანდუმი, რომელიც გულისხმობდა ტექნიკური უნივერსიტეტის მატერიალური რესურსის სრულად გამოყენებას სოხუმის უნივერსიტეტის აღნიშნული პროგრამებისთვის, თუმცა დასკვნაშიც არის აღნიშნული, რომ ეს რესურსები განაწილებულია

ტექნიკური უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსებში, რომელიც ლოჯისტიკურ სირთულესაც წარმოადგენს.

საბჭოს წევრი, თეა ნარეკლიშვილი დაინტერესდა, როგორ მოხდებოდა ადამიანური რესურსის გადანაწილება და რამდენად უზრუნველყოფს სოხუმის უნივერსიტეტი საჭირო რესურსის დაკმაყოფილებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დევი შონიამ აღნიშნა, რომ ყველა აკადემიური პირი კონკურსის შედეგად არის აყვანილი. ასევე ლაბორატორიები, რომლებიც გააჩნია დაწესებულებას არის ერთ-ერთი წამყვანი ლაბორატორიები ამიერკავკასიაში. ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად ხდება რესურსების გაერთიანება და ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ პროგრამები განხორციელდეს არა მხოლოდ არსებული რესურსებით, არამედ გავიდეს საერთაშორისო დონეზეც, რისთვისაც დაწესებულება აპირებს საერთაშორისო უნივერსიტეტებთან პარტნიორობას.
საბჭოს წევრმა, შალვა კელაპტრიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამამ 2 წლის წინ გაიარა აკრედიტაცია და აინტერესებდა რატომ ეთანხმებოდა რეკომენდაციების 90%-ს დაწესებულება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დევი შონიამ აღნიშნა, რომ პროცესი დინამიურია და საჭიროებს განვითარებას.

საბჭოს წევრი, შალვა კელაპტრიშვილი დაინტერესდა, რამდენი წელი დაჭირდებოდა დაწესებულებას რესურსების სრულად მობილიზებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დევი შონიამ აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩართული ყველა აკადემიური პირი ჩართულია კონკურსებში. ასევე, დაწესებულებას საკმაოდ ძლიერი საბაზისო ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის და მათემატიკის საბაზისო სკოლები გააჩნია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:33
დასრულების დრო: 11:36

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 3 წლის ვადით, 2029 წლის 30 ივლისამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტისა, მე-3, მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 3 წლის ვადით, 2029 წლის 30 ივლისამდე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 3 წლის ვადით, 2029 წლის 30 ივლისამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტისა, მე-3, მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 3 წლის ვადით, 2029 წლის 30 ივლისამდე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 3 წლის ვადით, 2029 წლის 30 ივლისამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტისა, მე-3, მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 3 წლის ვადით, 2029 წლის 30 ივლისამდე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 3 წლის ვადით, 2029 წლის 30 ივლისამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტისა, მე-3, მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გარემოსდაცვითი ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 3 წლის ვადით, 2029 წლის 30 ივლისამდე.

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და რეკომენდაციები, შესაბამისად დაწესებულებას დაევალა დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულება.

მესამე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო, „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიის" საბაკალავრო, „სასურსათო ტექნოლოგიის" სამაგისტრო და „სურსათის უვნებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა:

1. საგანმანათლებლო პროგრამა: სასურსათო ტექნოლოგია
სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტები: 241
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სურსათის ტექნოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: სურსათის გადამუშავება 0721
სტატუსი: ახალი

2. საგანმანათლებლო პროგრამა: სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია
სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტები: 241
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მეცნიერების ბაკალავრი სურსათის ტექნოლოგიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: სურსათის გადამუშავება 0721
სტატუსი: ახალი

3. საგანმანათლებლო პროგრამა: სასურსათო ტექნოლოგია
სწავლების საფეხური: მაგისტრატურა
სწავლების ენა: ქართული

კრედიტები: 120
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სურსათის ტექნოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: სურსათის გადამუშავება 0721
სტატუსი: ახალი

4. საგანმანათლებლო პროგრამა: სურსათის უვნებლობა
სწავლების საფეხური: მაგისტრატურა
სწავლების ენა: ქართული
კრედიტები: 120
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სურსათის უვნებლობის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: სურსათის გადამუშავება 0721
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

თარჯიმანმა საბჭოს გააცნო, საერთაშორისო ექსპერტის დარიო კომპანიონეს (Dario Compagnone) მოსაზრებები შესაფასებელ პროგრამებთან დაკავშირებით: ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შესაფასებელი პროგრამები მოიცავდა 4 პროგრამას, მათ შორის სასურსათო ტექნოლოგიების 2 საბაკალავრო და 2 სამაგისტრო პროგრამას. ტექნიკური უნივერსიტეტიდან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში განსახილველი პროგრამების გადასვლა მიზნად ისახავს საჯარო დაწესებულებებში რესურსების რაციონალურად განაწილებას. აღნიშნული პროგრამების ერთ კლასტერში დაჯგუფება გამართლებულია მათი საერთო დისციპლინური ფოკუსით, აკადემიური შინაარსის გადაფარვით, საერთო ინფრასტრუქტურული მოთხოვნებითა და ეროვნულ პრიორიტეტებთან სტრატეგიული შესაბამისობით. აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტი შედგა 2026 წლის 8 და 9 ივნისს, რომელიც მოიცავდა როგორც პირისპირ სესიებს, ისე პანელის თავმჯდომარის ონლაინ ჩართულობას. ექპერტთა ჯგუფმა შეხვედრები ჩაატარა აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებთან. გარდა ამისა ექსპერტებმა დაათვალიერეს აუდიტორიები, ლაბორატორიები და ბიბლიოთეკის რესურსები. შეფასების პროცესი შედარებით გაართულა იმ გარემოებამ, რომ შემოთავაზებული დოკუმენტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორიცაა

სასწავლო გეგმები, პირდაპირ ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ გადაცემული დოკუმენტების სახით იყო წარმოდგენილი მინიმალური ცვლილებებით. ვინაიდან სოხუმის უნივერსიტეტს არ ჰქონია აღნიშნული მიმართულებების განხორციელების პრაქტიკა, ექსპერტთა ჯგუფი შეფასების პროცესში დაინტერესდა საგანმანათლებლო პროგრამების ახალ გარემოში განხორციელებასთან დაკავშირებულ მთელი რიგი საკითხებით. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები დაწესებულებამ უნდა შეასრულოს სასწავლო წლის დაწყებამდე, რაც მოიცავს ისეთ ძირითად სფეროებს, როგორებიცაა აკადემიური პერსონალის აყვანა, სასწავლო გეგმის ადაპტაცია, რესურსების განაწილება და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის განხორციელება. ასევე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურის შეუფერხებლად გამოყენება მნიშვნელოვანია აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით განხორციელებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების მოსაზრება:
"რეკომენდაციები კლასტერული:

რეკომენდებულია, გადაიხედოს კვალიფიკაციების ინგლისურენოვანი სახელწოდებები, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და საერთაშორისოდ აღიარებულ კვალიფიკაციების ჩამონათვალთან შესაბამისობა. ვეთანხმებით.
რეკომენდებულია, გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგები, იმისათვის, რომ ადეკვატურად გაიმიჯნოს "სასურსათო ტექნოლოგიის" და "სურსათის მეცნიერების და ტექნოლოგიის" პროგრამების კურსდამთავრებულების კვალიფიკაციები და მკაფიოდ აისახოს თითოეული პროგრამის სპეციფიკური აკადემიური და პროფესიული პროფილი (1.2). ვეთანხმებით ნაწილობრივ. საგანმანათლებლო პროგრამებში თანამედროვე მიმართულებების ინტეგრირება მნიშვნელოვანია, რაც უნდა განხორციელდეს პროგრამის მიზნებისა და შინაარსის შესაბამისად.
რეკომენდებულია, შემუშავდეს და დაინერგოს პროგრამის სწავლის შედეგების პერიოდული შეფასების და გაუმჯობესების მკაფიოდ დოკუმენტირებული მექანიზმი, მათ შორის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და დამსაქმებლებისგან სანდო უკუკავშირის შეგროვების გამჭვირვალე პროცედურები, რაც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების და პროგრამის აქტუალურობის შეფასებას. (1.3) ვეთანხმებით, მექანიზმების გაუმჯობესების კუთხით.
რეკომენდებულია, გადაიხედოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტრუქტურა და სილაბუსები და შესაბამისობაში მოვიდეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და გაუმჯობესების მეთოდოლოგიებთან, მათ შორის მოთხოვნილ ფორმატთან, წინაპირობებთან, კრედიტების და საათების განაწილებასთან და უნივერსიტეტის 15 კვირიან აკადემიურ კალენდართან (1.4). ვეთანხმებით, რომ მოხდეს შესაბამისობაში მოყვანა.
რეკომენდებულია, გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამების საერთო მოცულობა და უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო გეგემების შესაბამისობა 240 კრედიტის მოცულობის სტანდარტულ ოთხწლიან სასწავლო დატვირთვასთან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დამატებითი კრედიტისთვის წარმოდგენილი იქნება მკაფიო აკადემიური დასაბუთება. (1.4) ვეთანხმებით.
რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამებს შორის და უშუალოდ პროგრამებში გამოვლენილი იდენტური შინაარსის მქონე სასწავლო კურსები, იმისათვის რომ მკაფიოდ გაიმიჯნოს სასწავლო კურსისი შინაარსი, სწავლის შედეგები და კომპეტენციები, როგორც საბაკალავრო ისე სამაგისტრო დონეზე (1.5). ვეთანხმებით ნაწილობრივ. ცვლილებები უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, არსებული სასწავლო მიზნებისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს და ოფიციალურად გააფორმოს თანამშრომლობა შესაბამის დამსაქმებლებთან, პროფესიულ ორგანიზაციებთან და ინდუსტრიის პარტნიორებთან მდგრადი პარტნიორული მექანიზმების მეშვეობით, იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს პრაქტიკული სწავლების, სტაჟირების, გამოყენებითი კვლევითი აქტივობების და საგანმანათლებლო პროგრამების სხვადასხვა პრაქტიკაზე ორიენტირებული კომპონენტების ეფექტურ განხორციელებას, რაც ამავე დროს უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ შესაბამისობას შრომის ბაზრის საჭიროებებთან (2.2). ვეთანხმებით. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაინერგოს აკადემიური ციტირების ერთიანი სტანდარტი და მკაფიოდ აისახოს შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში, ასევე გაძლიერდეს მისი პრაქტიკული გამოყენება სტუდენტების კვლევით ნაშრომებში. (2.4) ვეთანხმებით.
რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაასრულოს, დააზუსტოს და ოფიციალურად დაადასტუროს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობა. (4.1) ვეთანხმებით.
რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მტკიცებულებების სახით წარმოადგინოს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, მონაცემები სამუშაო დატვირთვის განაწილების, აფილირების და პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ, რაც უზრუნველყოფს პერსონალის აკადემიური და პროფესიული პროფილის საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებთან, სწავლის შედეგებთან და მდგრადობის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას. (4.1) ვეთანხმებით.
რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაასრულოს და ოფიციალურად უზრუნველყოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება და ხარისხის უზრუნველყოფის, პერსონალის შეფასების, პროფესიული განვითარების და მხარდამჭერ მექანიზმებში და ღონისძიებებში მათი სისტემატური მონაწილეობა. (4.3) ვეთანხმებით.
